



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 16

„ 14 „ 11

2018 წ

**დადგენილება № 73**

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის წლიური აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების წესის დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 24 სექტემბრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:


აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის წლიური აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების წესის დადგენის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 24 სექტემბრის N64 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ა) სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის აკადემიური დატვირთვა დადგინდეს შრომითი ხელშეკრულებით. შრომის ანაზღაურება განისაზღვროს ერთჯერადად ხელმძღვანელისათვის 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით ხოლო, თანახელმძღვანელისათვის 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.
- ბ) თანხის ანაზღაურება მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ წინასწარი განხილვისთვის/დაცვისთვის.
- გ) სადისერტაციო ნაშრომის მოწვეული რეცენზენტების (როგორც დისერტაციის დაცვის, ისე წინასწარი განხილვის შემთხვევაში) და დარგობრივი კოლეგიის მოწვეული წევრების ანაზღაურება განისაზღვროს 120 (ასოცი) ლარით.

2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს ვებ- გვერდზე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე